



„ღმერთო, სამშობლო მდტოცხლე, მძინარეც მშან ვდუდუნებ!“

2011 წელი გენიალური მანქანის კომეტის შაქა-შაქაშელას საიუბილეო თაჩილია

150

კავკასია

პროგრული, ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№5-6 (51-52) მაისი-ივნისი 2011 წელი

შპსი 1 ლარი

სასელაფიფოებრივი ზრუნვის მოლოდინში!.. გვ. 4

აოაია ბიგლა ჭინჭარაული გვ. 6

ცოტაც მოიცა, უენი კვნესაჲ!

მონები ისეგ მეფეს გარცხნიან, ქაშუეთს ჩემი სისხლი აცხია ქართველო, უენი დიდი მარცხია — მოყვარედ ეშმა შევირაცხია! თუ არ გაიგე, უენს თავს რა ხდება, გადამთიელის ლოცვა ახდება: ეს ავაზაკი ისე წახდება, სვეტიცხოველიც სხვისი გახდება! იქით — ოსმალთ, აქეთ — ჰაოსი, დარიალაზე — ნისლის ქაოსი, არ შეიცვალა თუკი ტაროსი, მოგა დუმელი სასაფლაოსი! მთებს მოსდებია ცისფრად კესანე ათასწლეული გაყეფს მესამე ცოტაც მოიცა, უენი კვნესაჲ, — არაგველები ხანჯალს ლესაგენ!

ლაშა ნადარეჟიშვილი

ვაჟა ფშაველა

ვინ მოგვცემს კაი კაცებსა ან კაი საქმე სიღამა? — მიწა არ აღმოაცენებს არ ჩამოხდება ციღამა, თუ თვითონ არ გაგკეთდებით თავის გრძობით და ჭკიღამა, ნუღარ უმტყუნებს, გამაგრდეს ვინაც კეთილი იწამა, თუ შეიღნი არ ვეგარგებით რა ქნას სამშობლოს მიწამა.

უცხო ჯურის «ზედამხედველ — დაბეჭდვებებს»

ვინც არ უნდა იყოთ თქვენ, ვინც აქ მოეხეტებით, სადღეგრძელო დამილიეთ თავმოწონე ქედების. ამ მიწაზე წყდებოდა ბედი ქვეყნის მდგომარეობის, სადღეგრძელო დამილიეთ გედის საღამურების! სადღეგრძელო დამილიეთ იდუმალთან მორკინლის, თქვენთვის დასჯილ ამირანს გაულოკეთ ბორკილი! გონზე მოდიეთ, ნუ ასრულებთ შამაძალთა შეკვეთებს, ჯერ ამერებს ემოწაფეთ, მერე — იმიერეთებს! აქაურ ცას რომ ახედავთ, უფლის თვალად გახელილს, ვაზის შვილი დამილოცეთ — დგთაებრივი კახელი! გუთნის დედის, ხარის ქედის, ჟამთა მშველი ჭურების, გურულები დამილოცეთ, მერე — კრიმანჭულები. გათენდება სვალინდელი იბერიულ აისით, მეგრულ „ნანას“, სვანურ „ლილეს“ დაუსულდარბაისლდით!

მუსულმანურ ურჩხულისგან ხომ იყავით შეპერთალი, ეს — დავითის წიგნი გახლავთ, ეს — გორგასლის ბექთარი... მარადისი თავანები თავებს როცა გვიხრებან, რა შეგძელით, ვით შეგძელით, ერთხელ თუ გიფიქრიათ! აუხსნელი სიღამაზეთ ყველა გადამიტრო, განა ასე შეიძლება, სულიერმა იმღეროს! ასე მშვენიერი იყო თმის ძირიდან ცერამდე, განა ასე შეიძლება ხორციელი ცეკვაგდეს! ეს ზღაბრული ჩუქურთმები ტაძრებში რომ განრიღა, ქართველების ძვლები გახლავთ,

თქვენ რომ გადაგარჩინათ! სიმათლე ვთქვათ, განა ზეცა თავს სუყველას უყადრებს, განა ასე შეიძლება გიყვარდეს და უყვარდე! ვის წინაშეც ცახცახებდით, ვფანტეთ ნაცრის სადარად, ჩვენი სისხლი უკვდავებად მიმოფიქრეთ სად არა! თვალის ჩინი თუ კი შეგრჩათ უჩინარის მნახველი, საქართველოს დაუნოქეთ ღმრთისმშობელის სახელით! სცადეთ უფლის მასხინძლობა, ნუ ხართ ეშმა ხიზნები, ქართულ ანბანს მიეახლეთ — ცოტა წამოიზრდებით! ჩალად მიღირს ვინ ბრყვია, ან განგებ ვინ სულელობს, ვით გვასწავლით ჭკუას ხიდან, გუშინ ჩამოსულელო!!! თქვენ რა იცით ჩემმა ჯიშმა რა მიმოხვრით იდინა, ჩამოღინართ, ღორებივით გაძლებით და მიღინართ! სხვა რა ვითხრათ, გასაჯონებს, მერე გასაღვედელებს, თქვენ, თქვენს დედებს დააკვირდით

და უზედამხედველეთ! ვინც არ უნდა ბრძანდებოდეთ, ერთგან ქუსლი იკაროთ, რომ არსებობს საქართველო — მადლობელი იყავით!!!

გორა ხარანაული



საქართველოს პარლამენტი რუსეთის მიერ ჩერქეზი ხალხის გენოციდს აღიარებს. 1763-1864 წლების რუსეთ-კავკასიის ომის შედეგად, რუსეთის მიერ ჩერქეზი ხალხის მიმართ განხორციელებული გენოციდის აღიარების თაობაზე რეზოლუციის პროექტი მიიღეს დიასპორისა და კავკასიის საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, იურიდიულ საკითხთა და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტებმა გამართულ გაერთიანებულ სხდომაზე.

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ნუგზარ წიკლაურმა კოლეგებს ის ფაქტობრივი მასალა, ისტორიული დოკუმენტები, ექსპერტებისა და მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები გააცნო, რომელიც აღნიშნული

რეზოლუციის პროექტს დაედო საფუძვლად.

რეზოლუციის მომზადებას წინ უძღოდა საკითხის წელიწადნახევრიანი განხილვა. დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტში სპეციალურად შექმნილი მეცნიერებისა და ექსპერტების ჯგუფის მონაწილეობით, განხილეს უამრავი ისტორიული მასალა და მომზადდა სამეცნიერო დასკვნა, რომელმაც შესაძლებელი გახადა ჩერქეზი ხალხის გენოციდის აღიარება.

გაერთიანებული სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ნუგზარ წიკლაური, გურამ ჩახვაძე, დიმიტრი ლორთქიფანიძე, ჯონდი ბლათურია, პავლე კუბლაშვილი, ქალბატონი რუსუდან კერვალიშვილი, ჩერქეზული დიასპორების წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნიდან. მათ მადლიერება გამოხატეს

ქართველი ხალხისა და კონკრეტულად პარლამენტის მიმართ და აღნიშნეს, რომ ეს დღე ჩერქეზი ხალხისათვის ისტორიული დღეა, რადგან საქართველომ პირველმა განიხილა და აღიარა ჩერქეზთა გენოციდის ფაქტი.

„დღეს არის ისტორიული დღე, დღევანდელმა დღემ გამოიწვია ერთი შეგრძნება და შემოიღია ვთქვა, რომ მე ვარ ქართველი, მაშასადამე ჩერქეზი“. ასეთი შთაბეჭდილი სიტყვით დაასურათა ეს მნიშვნელოვანი მოვლენა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ რუსუდან კერვალიშვილმა.

ჩერქეზთა გენოციდის აღიარების საკითხზე საქართველოში წელიწადზე მეტია, რაც მუშაობდნენ. პარლამენტის რეზოლუციის პროექტის შემუშავებას წინ უძღოდა სამეცნიერო საზოგადოების დასკვნა, რომელშიც მეც-

ნიერულ-ისტორიულად არის დადასტურებული XVIII-XIX საუკუნეებში ჩერქეზთა გენოციდი.

აღიარებულ იქნა რუსეთ-კავკასიის ომის პერიოდში ჩერქეზების (ადილელების) მასობრივი განადგურება და მათი იძულებითი განდევნა ისტორიული სამშობლოდან გენოციდის აქტად, თანახმად „სახმელეთო ომის კანონებისა და ჩვეულებების შესახებ“ ჰააგის 1907 წლის 18 ოქტომბრის IV კონვენციისა და „გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილების და მისი დასჯის შესახებ“ გაეროს 1948 წლის 9 დეკემბრის კონვენციისა. ასევე ლტოლვილებად აღიარეს რუსეთ-კავკასიის ომის პერიოდში და შემდგომ სამშობლოდან იძულებით დეპორტირებული ჩერქეზები, თანახმად „კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის 28 ივლისის კონვენციისა.“ – ნათქვამია რეზოლუციის პროექტში.



ილტოს აღკვეთილი

ბუნების მოყვარულთა საზოგადოება 2000 წელს დაფუძნდა. მისი მიზანია გარემოს დაცვა, ბიომრავალფეროვნების კვლევა, დაცული ტერიტორიების და გარემოსდაცვითი საქმიანობების ხელშეწყობა, ეკოლოგიური განათლების გავრცელება და ქვეყანაში ჯანსაღი გარემოსდაცვითი პოლიტიკის დამკვიდრება.

ხეობის ტყეებში გავრცელებულ მცენარეთა ნაწილი საქართველოს და საერთოდ კავკასიის ენდემია. აღნიშნული ტყეების ფლორის მშვენიერება უთხოვარია, რომელსაც ძლიერი ანთროპოგენული ზეწოლის კვალი ეტყობა. დღევანდელი დაცული ტერიტორიის ადგილას, ახმეტის სატყეო მეურნეობის ფართობები იყო, სადაც ათეული წლების განმავლობაში უმოწყალოდ იჩეხებოდა ხე-ტყე. დაახლოებით 70 წლის წინ აქ კომუნისტებმა რკინიგზა გაიყვანეს, რათა ხე-ტყის რესურსი უკეთ აეთვისებინათ. იმ დღიდან ანტროპოლოგიური ზეწოლა ამ ხეობაზე არ შეჩერებულა.

უთხოვარს სიცოცხლისადმი დიდი სწრაფვა ახასიათებს. შხამის გამოუმავლების თვისებამ, თავის გადარჩენის მიზნით, მთავარი ღერძის „შეცვლის უნარმა და დაავადებებისადმი კარგად გამძლე „უღიპობა მერქანმა უთხოვარი გადარჩინა და დღემდე მოვიდა. ილტოს ტერიტორიის აღკვეთილად გამოცხადებამდე, 2001

შახვეტილას, ჭართალის გავლით, ამ ხეობაში მდინარე ილტოს ნაპირს მიუყვება.

საქართველოს ბუნების მოყვარულთა საზოგადოებამ 2006 წლის დეკემბერში, ილტოს აღკვეთილი მონიტორინგი განახორციელა. ტყის მცველებს არ აქვთ ელემენტარული საცხოვრებელი პირობები: რაცია, ტელეფონი, ელექტროენერგია, თავდაცვის საშუალებები, აფთიაქი, თუმცა ტყეს მიუღი პატიოსნებით იცავენ. უნიკალური ბიომრავალფეროვნების დაცვა სიცოცხლის ტოლფასი უჯდებათ. მათ დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ ქვეყნის, ბუნების გადარჩენისა და დაცვის საქმეში.

მისი შედეგები საჯარო ყველა დაინტერესებული პირისთვის. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ აღკვეთილის საზღვრის გარეთ ხე-ტყის დიდი რაოდენობით ჭრა მიმდინარეობს, რაც საფრთხეს უქმნის სახეობათა სივრცულ განაწილებას, ამიტომ აუცილებლად მივიჩნევთ აღკვეთილის გაფართოებას.



ილტოს ხეობა

წელს, კომპანია „ნატექს-ჯორჯია“ უთხოვრის წიწვებს იბარებდა, აღნიშნული პროცესის დროს ბევრი უთხოვარი უკანონოდ მოიჭრა.

ეს ადგილი თავისი ბუნებით, მდებარეობით, ხეობათა სიმრავლით და ტყეთა განაწილებით შესანიშნავ პირობებს ქმნის ცხოველთა და მცენარეთა გამრავლებისათვის. დაცულ ტერიტორიაში შეხვდებით დათვის, მგელს, მელას, ენოტს, წაგს, გარეულ ღორს, ტყის კატას, ხელსაყრელი პირობებია შვლებისა და ირმებისათვის. საქართველოს ბუნების მოყვარულთა საზოგადოების წარმომადგენლის მიერ 2006 წლის 14 დეკემბერს, ილტოში ნახეს დათვისა და ირმის ექსკრემენტები, აგრეთვე მგლის ნაკვალევი.

სახეობებსა და ჰაბიტატებზე უარყოფითად მოქმედებს ბრაკონიერობა, დაცული ტერიტორიების სიახლოვეს ხე-ტყის დიდი რაოდენობით ჭრა. ამ შესანიშნავი ბუნების სანახავად ახმეტიდან 45 კილომეტრიანი ურთულესი გზა არის გასავლელი. გზა სოფლების: ნაღუქარის,

ბიომრავალფეროვნების დონისძიებათა სრულყოფილად განხორციელებისათვის კი უნდა ჩატარდეს შემდეგი ღონისძიებები: უმოკლეს დროში გაიწმინდოს გზის მონაკვეთი ილტოს აღკვეთილის საწყისი წერტილიდან საჯარო სახლამდე. შესაშუშავებელია მენეჯმენტის გეგმა. უნდა გაუმჯობესდეს სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა. საფუძვლიანად უნდა შესწავლა ფლორას და ფაუნას. საჭიროა დაფინანსების გაზრდა. ეს ნაწილია იმ შენიშვნების და რეკომენდაციების, რომელიც მონიტორინგის დროს გაჩნდა. მანამდე კი იმედს ვიტოვებთ, რომ სახელმწიფო ზრუნვას არ მოაკლებს დაცულ ტერიტორიებს და ყველა ღონის იხმარს ბუნების მარგალიტების გადარჩენას.

ილტოს დაცული ტერიტორია ელის ყველა დაინტერესებულ პირს და ტურისტს აღკვეთილიში სამოგზაუროდ.

ესაუბრა ივა ჯაჭვამი.

ქაშქაშიში ჩიბნის გამომშენა

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით პარლამენტში კავკასიური წიგნის გამოფენა მოეწყო. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა წლებში გამოცემული ლიტერატურა და შრომები, რომლებიც კავკასიელი ხალხების კულტურის, ენისა და ტრადიციების შესახებ მოგვითხრობს.

გამოფენის ექსპონატები მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა როგორც ავტორების, ასევე თემატიკის მიხედვით. სტუმრები სიმონ ჯანაშიას, არნოლდ ჩიქობავას, როლანდ თოფჩიშვილის, ბარასბი ბრაუნოკოვის, ევგენი ჯეირანაშვილის წიგნებთან ერთად თანამედროვე მწერლებისა და კავკასიოლოგების შრომებს გაეცნენ. წიგნების გარდა პარლამენტის წევრებმა და მოწვეულმა სტუმრებმა კავკასიელ ხალხთა ეროვნული სამოსის ფოტოგალერეა დაათვალიერეს.

როგორც ნუგზარ წიკლაურმა განაცხადა, გამოფენის მოწყობა არის სიმბოლური, რადგან სულ ახლახან პარლამენტმა 1763-1864 წლების რუსეთ-კავკასიის ომის შედეგად რუსეთის მიერ ჩერქეზი ხალხის მიმართ განხორციელებული გენოციდის აღიარების თაობაზე რეზოლუცია მიიღო.

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის, გიორგი წერეთლის თქმით, მშვიდობა კავკასიაში უმთავრესია, თუმცა საქართველო ყოველთვის გამოუცხადებს სოლიდარობას იმ კავკასიელ ხალხს, რომელმაც გენოციდი განიცადა.

წმინდა სამების საეანეში დალუქულ აფხაზ და ქართველ მეომართა დედებმა საქართველოს ერთიანობისთვის ერთად ილოცეს

18 ივნისს ქართველთა და აფხაზთა შერთების პირველი საჯარო პრეცედენტი შედგა – სამების საკათედრო ტაძრის ეზოში, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II საკუთარი მრევლი, აფხაზი და ქართველი მეომრების დედები გულში ჩაიხუტა და, სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა მოსაგონებლად და უგუნური მტრის გონზე მოსასველად, წმინდა სვიმონ კანანელის სახელობის ტაძრის საძირკველი აკურთხა – საძირკველი ჩაუყარა ქართველთა და აფხაზთა გაერთიანების საღმრთო საქმეს.

ილტოს აღკვეთილი ზომიერად ტენიანი სუბტროპიკული კლიმატის ზონაში მდებარეობს. ამ

ფშავი სად არისო, — უკითხავს მავანს. საცა იყო, ისევ იქაო, — უპასუხია ენაკვიმატ ფშაველს. დიახ, მეც ცყოფილვარ ასეთი შემთხვევის მოწმე, როცა ფშავი ზოგს კახეთში, ზოგსაც სვანეთის მაღალ მთებში ჰკონებია. აი, ამგვარია შენი ბედისწერა, ჩემო მშვენიერო და ლამაზო მხარე, ცად ატყორცნილი მთებით და გზებით, ნეტავ თუ წერენ შენზე სადმე, ანდა ფიქრობენ, ვის ანსოვხარ, ვის ენატრები, ვინა გკითხულობს, რატომა დუმხარ, რატომ არ იტყვი შენს დარდს და ტკივილს, შენს გასაჭირს არ შემოგვნივლებ, გულში რად იხვევ მაგ შავ ჯავრს, წყენას და ნალველს, დარდს რად ეჭმევი. რა გიხარია, რა გაკლია, იქნებ მომიყვებ, იქნებ გამენდო მე, შენს ერთ-გულ შვილს, ეს მართლა გამიხარდება. თუ მე არ მეტყვი, შენს მუდმივ მგზავრს — არაგვს ეფიხენე (ეჭვორავე), დააბარე საჭირო სიტყვა. არაგვი ისევ ისეთია — ლალი, სულსწრაფი, უდარდელი და ფოთილა. მაგრამ რად გინდა, ჟინვალის კართან ისიც ტყვეა, ხელფეხ-შეკრულს არ ძალუძს ახსნა, რომ მთის ამბები ბარს მოჰფინოს.

ვხედავ შეცვლილხარ, დამეწყოლა შენი წყალჭაღა, დანგრეულა შენი გზები, შენი ხიდებიც იავარქმნილა და შეველას ითხოვს. მოხუცების ამარა დამჩნავს თავი მაინც ამაყად გიჭირავს, ჩემო დედულ-მამულო, შენი ზვიადი და ბუმბერაზი მთები ცისკენ ხელგაწვდენილი ღმერთისა და ღვთის შვილთა სადიდებელს და-ლადებენ და შენს გადარჩენა-გამრავლებას ავე-დრებენ წმინდა სალოცავებს, რომ აქ, ფშავში, არ ჩაქრეს კერია, არ ჩაქრეს სიცოცხლე და რომ აღარ იკითხოს მავანმა და მავანმა, თუ სად არის ფშავი.

ფშავი მითებისა და ლეგენდების სამყარო. ულამაზესია აქაური ბუნება და თვალისმომ-ჭრელი ამ მთათა სიდიადე, მაგრამ საცხოვრე-ბლად მკაცრი და გაუტანელი. ფშაველთა, კერძოდ, სოფელ უბილაურის სამთო სალოცავი — ირემთკალი. აქ, ივლისის ბოლო კვირას, უდიდეს დღესასწაულს — **ათენერბას** ზეიმობენ უბილაურნი და აქედან ბარში წასულ-გადასახ-ლებული ფშაველები და ყველა ისინი, ვინც **კო-პალხატის** ყმანი (მლოცავნი) არიან. მეორედ აქ აგვისტოს, მარიამობის წმინდა დღესასწაულზე იკრიბებიან, თუმცა არცთუ ისე ბევრნი.

ფშავი — მითებისა და ლეგენდების მხარე



მიუხედავად მოსახლეობის სიმცირისა, რომელთა რიცხვიც უკვე თითზე ჩამოსთვლე-ლია, სოფელი მაინც ცოცხლობს, ხშირად აქაურები არც წინაპართა ძირძველ ტრადიცი-ებს ღალატობენ. არ აქვთ გზა („გზას გამ-ბობ, თორემ რა გზაა“ დიდი ვაჟას სიტყვები გაგვახსენდება ამ გზის ხილვისას) და შუქი, ესეც თავიანთი ოფლითა და შრომით მოუპოვე-ბიათ, თორემ მათი მიმხედავი და მომკითხავი არავენ არის. „ჩვენთვის რადიოც დამუწვდა, აბა, ტელევიზორს ვიდა მოგვიტანს. ეს შუქიც, ხანდისხან თვეობით დაიკარგება. ვართ ბნელში ბუებივით, სადღაც ცივილიზაცია და კარგი ცხოვრება რომ არსებობს, ამას ხევისურეთისაკენ მიმავალი ვერტმფრენის ხმა თუ გვაცნობს და გაგვიკვირდება. ხანდისხან „კვირის პალიტრას“ ვკითხულობთ — ავტობუსის შოფერს ვაბარებთ სხვა უამრავ წვრილმანთან ერთად, ხანაც ვინმე სტუმრად მოსული თუ ამოიტანს და ასე ვვე-ბულობთ ხალხ-ქვეყანას ამბებს. ავტობუსიც აღარ დადის ამ ხეობაზე, ადრე კი დადიოდა, მაგრამ ხალხისაგან დაიცალა აქაურობა და ის რისთვისღა ივლიდა.“ — ასე ტკივილნარევი იუმორით მითხრეს აქაურებმა.


ახლა **ირემთკალიზე** უკვე აღარავენ არის. ჩაივლის თუ არა ფშაველთა დღეობები, გაუკაც-რიელდება აქაურობა და მთა-ყელთ სიჩუმე და მღუმარება დაისადგურებს, მხოლოდ ჯანდები ბუებიან **ლილხეგასა** და **აკუშურაის** ვიწროებს და ყვავ-ყორნების ყრანტალი აფრთხობს **ლომთახოსა** და **სათეთვორის** თვალშეუვალ ფეხდაუკრავ სანახებს.

დაბლა სოფელში კი ორადორი ოჯახი რჩება, რათა პირუტყვი გამოაზამთრონ და საკუთარი თავიც გამოკვებონ. მოიმარაგონ ზამთრის სარჩო-საბადებელი, თორემ თუ თოვ-ლმა ჩამოყარა, მათი პატრონი და მომკითხავი არავენ იქნება.

აქ კი მათ მეც ვემშვიდობები იმ იმედითა და რწმენით, რომ სხვას წელს (გაისად) კვლავ ავალ საათენგნოდ — ირემთკალიზე ქადა-პუ-რით და სანთელ-კელაბატრით, დავლევთ ფშაურ ლუღს და ხევისბერიც დაგვამწყალობენებს.

ლამარა კოჭლიშვილი
ფშავი-უბილაური.

ლოქსებს განდობილი ცკივილი




უმეტეს ის აღარდებს, რომ ტკივილი უფრო გამძაფრდა, პრობლემა მირიადი გახდა და მტერი ძველად საჩინო ახლა უჩინარი. აქ არის ის მანკიერებანიც დაბუდებული, რასაც ქართულად მოაზროვნე ყველა ქართველი ხე-დავს და სააშკარაოზეც გამოაქვს. რასაც ადრე ჩვენი ძველები თავილობდნენ, სასირცხვილოდ მიანდათ, დღეს გმირობად ითვლება, რაც გულს ეთანადრებოდათ, დღეს დაუფიქრებლად აკეთებენ. ერთი სიტყვით, **ზნობრივი დროშა ერისა დახრილია** და, რა გასაკვირია, პოეტს ანაღვლიანებს, აფიქრებს ყოფა ამგვარი.

ვეფხია გავაშელის ამ წიგნში მკითხველი უამრავ შეგონებას აღმოაჩენს, თუ გულთ წაიკითხავს, რა თქმა უნდა, და არა თვალთ, დარწმუნდება, როგორ დავცემულვართ, როგორ გვიქცევია საკუთარი ტკივილი საქვენოდ და პირიქით, როგორ მივევიდია, გულში ჩარჩენი-ლი პურის ნატეხივით დაგვიოებია ქვეყნისთვის ფიქრი და ზრუნვა.

მკითხველმა ისე არ უნდა გაგვივოს, თითქოს ყველაფერი წარსოცია, ყველაფერი გადაგვარებულა ჩვენდა სავალალოდ და თავში საცემად, ასე რომ არ არის, ეს ლექსებიცაა ამისი დასტური, ნათელმყოფელი იმისა, რა უნდა შევიწარმუნოთ, სახელმწიფოებრივად როგორ ვიპოვოთ.

ლექსების საკმაო ნაწილი ამა თუ იმ პიროვნებას ეძღვნება. მათში გამოკვეთილია ადრესატის ხასიათი, მიდრეკილება, პიროვნული მრწამსი და სურვილი. ზოგიერთი პოეტური თხზულება ისეთ ადამიანებზეც მოგვითხრობს, დღეს რომ აღარ არიან ამქვეყნად. ასეთ სტრიქონებში მომეტებული სევდა ჭარბობს, წუხილი რიონის ტალღებივით მჩქეფარებს იმის გამო, რომ ისინი დიდად გამოადგებოდ-ნენ ქვეყანას, უკეთესად უჭირისუფლებდნენ მამულს. ახლა კი ჩვენ ვქცევულვართ მათ ჭირისუფლად და საფლავებში ჩატანილი მათი ოცნების გამომოვანებლად. ჭაშნიკად ერთი სტროფი:

„და ხევის სათლში მზე ჩაიწველა, ციდან ორსული მთვარე მიცქერის, შენი თვალების ქურდულმა ელვამ ჭრილობა გახსნა დაუწყებში“.
ასეა, ხანაც ტრფობის იარა განუახლდება პოეტს, ხანაც იჭვი შემსჭვალავს მერმისისა, ხან ის, ხან ეს. რაც მთავარია, ყველაფერი



რომლის ორგანიზებას დიდი ამაგი დასდო პოეტმა **ჯუბა ლებულმა**.

სალამოს მასპინძელი იყო ბიზნესცენტრ „კალასის“ წარმომადგენელი **თენგიზ გავაშელი**.
სალამო მიჰყავდა **გია ჯოსაძეს**.

ლონისძიება საკუთარი ლექსებითა თუ სიტყვებით დაამშვენეს: **სეგარიონ ნადირაძემ, იზა ჯაჭვაძემ, მარინე თექეთმანიძემ, თენგიზ ავსაჯანიშვილმა, შერმაღინ ქალდანმა, ნინო მაჭავარიანმა, ნინო ტარყაშვილმა, ნინო მარსა-იშვილმა, მანანა გელაძემ, თემურ ტუმბაშვილმა,**

ლექსად გადმოიღვრება, ლექსებში გამჟღავნდება ტკივილიც და იმედიც.

ანა მრისთავი
რედაქციის მინაწერი:

სწორედ ვეფხია გავაშელის პოეტური კრებულის გამოსვლას მიეძღვნა **ბიზნესცენტრ „კალასში“** გამართული შემოქმედებითი საღამო,

ანა ერისთავმა, შალვა მატუაშვილმა, მაცყალა ლიპარტელიანმა, ელენე გამგონიძემ, შოთა კობიძემ, თამარ ფარჩუქემ და სხვებმა.

მრავალფეროვანი საღამო დაამშვენა ანსამბლმა **„ბერიკონმა“**, რომელსაც უმ-ღვებოდა **გონა გუტაშვილი**.

სახელმწიფოებრივი ზრუნვის მოლოდინში

ხევსურეთში გამგზავრებისას გავიცანი გიორგოშინდელი შოთა გომიჭაშვილი, რომელიც თავისი კუთხის დიდი გულშემატკივარია. ეს მამულის მოყვარე კაცი ადგილის დედას აცოცხლებს.


მივუხლოვდით გიორგოშინდას თუ არა, ბატონმა შოთამ სახლში შეგვიპატივა. აქ დავიბადე, რამდენი დაბადება და რამდენი სიკვდილი მასსოვს, რამდენი ადამიანის ხელში გავიზარდე. ის სულკურთხეულები აღარ არიან, რაც ჩემთვის დიდი ტკივილი და ტრაგედიაა, ვინც სულიერებას მასიარა, რითაც თავი შეიძლება მოვიწონო, ამბობს შოთა გომიჭაშვილი.

მისთვის ერთადერთი შვილი – ზვიადი, ერთადერთი შვილიშვილი-ნატალია არის მისი დიდი სიხარული, მეუღლე-ასია დაღვატოვა, ეროვნებით ავარიელი, მშენიერი ქალია და დაღესტნის სოფელ გუნბოლან არის გამოთხოვილი.

შატილში კავშირგაბმულობის ხაზი გაუქმდა. ჩვენთან რაიონთან დამაკავშირებელი ხაზიც არ არის. გესი ვაქეს, მაგრამ მისი ხელმძღვანელი უხელფასოდ მუშაობს. შარშან წყლის სისტემა გაიყინა, მიღებაა მოსატანი და მთლიანად მოსაგვარებელია წყლის სისტემა.

ჰესი ბიუჯეტში ზის, მაგრამ ორი წელია მის უფროს – დავითს ხელფასი არ მიუღია. შატილში გესის ორი ოპერატორია საჭირო. ხევსურები ძალიან გაგვარაზა გაზეთ „ქრონიკაში“ და ბეჭდილმა ცილისმწამებლურმა წერილმა შამილ ქართოშიძეზე, რომელმაც სულმოკლემ დაწერა და გაზეთს ვინ მიაწოდა ეს ინფორმაცია. ეს იყო ძალზე ამაზრხენი, ცილისმწამებლური და სიმატონიკური მოკლებული წერილი, როცა ლამის თავზე დაგვემხო ცა – 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს.

სოფელი ბისო – ქეთელაურების საგვარეულოს საოფელიაო, ხახმატი-ალდაურების, ხახაბოში – მინდიკაურები ცხოვრობენ, ხახაურები და ხოსიაურები, მუცოში – დაიაურები, არდოტში ზვიადაურები და მურღუელები, არჭილოში – ზვიადაურები, ლეზაისკარში და კისტანში ჭინჭარაულები, არხოტის (ასას) ხეობიდან – გაბურები, წიკლაურები, ოჩაურები, ჯაბუშანურები, ბლოდან – გიკაურები.



მიხეილ ჭინჭარაული

შენახვისათვის საჭირო პირობები. ასეა 2000 წლის შემდეგაც, არც არავინ მიხდის ქირას. ამ მხრივ მძიმე მდგომარეობაში ვარ ჩავარდნილი. ჰიპერტონიით მალაღ წნევიანი, კუჭის წყლულით დაავადებული პაციენტი მყავს, ტუბერკულოზით, ქრონიკული პნევმატიტით და ნაღვლის ბუშტით დაავადებულები. სამკურნალოდ არ მოგვეპოვება მედიკამენტები.

მოგვინახულეს დუშეთის რაი-საავადმყოფოს ექიმებმა და მედიკამენტებით შეძლებისდაგვარად აღმოგვიჩინეს დახმარება. მათგან განსაკუთრებული ყურადღება გოგი კობიაშვილმა, მისმა მეუღლემ – ლალი კობიაშვილმა, ნონა ბრაჭულმა და სხვა ექიმებმა გამოიჩინეს. პაციენტები გასინჯეს, მკურნალობა დაუნიშნეს და აქედან ვინც კი დუშეთის საავადმყოფოში მოხვდება, უანგაროდ დაემხარებიან გამოკვლევებსა თუ მკურნალობაში. ეს ექიმები ალალი გულით მოდიან და ისინი კვლავ გვესტუმრებიან. დაგვიპირდნენ, რომ მოგვაპარაგებენ შესაძლებელია და მედიკამენტებით.

დიდ ყურადღებას იჩენდა ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი ლალი კობიაშვილი. მოჰყავდა ექიმთა ბრიგადა და მოჰქონდა ჰუმანიტარული დახმარება, მაგრამ ვერტმფრენით უღელტეხილამდე მოსულები დიდხანს, თითქმის ორი საათის განმავლობაში ტრიალებდნენ ჰაერში და უამინდობის გამო უკან გაბრუნდნენ. მათ სიკეთეს აქაურები არასდროს დავივიწყებთ.

რაც შეეხება ხევსურეთის სხვა საჭირობოლო საკითხებს, ძალზე მძიმეა და სავალალო, ხალხი გამუდმებით სტოგებს მთას და ბარად მიემგზავრება. პირიქითა ხევსურეთში, კერძოდ მიღმა ხევიდან – მუცო, არდოტის, ხონის, არჭილოს, ანდაქის, ხახაბოს სოფლებიდან უკვე ოცამდე ოჯახმა დატოვა ხევსურეთი და სხვადასხვა ადგილებში გადასახლდა. ასევე დაიცალა კისტანი და ლეზაისკარი. მოსახლეობა გიორგოშინდელს და გუროდანაც მიდის.

შემოდგომაზე აიყრიან გიორგი, ნიკო, მიხეილ გომიჭაშვილების ოჯახები. მოსალოდნელია მთლიანად დაიცალოს პირიქითა ხევსურეთი. ხანდახან ურთიერთ წამამელობითაც ხდება. შატილიდანაც რამდენიმე ოჯახი აპირებს ბარში გადასახლებას, რაც აქაურებისთვის მეტად მტკივნეულია.

სადღეისოდ არანაირი ყურადღება არ იგრძნობა ხელისუფლების მხრიდან, მაგრამ ვფიქრობ ეს დროებითია, იმედს ვიტოვებთ მოიცდის ჩვენი მთავრობა მთიელებისთვისაც. სახელმწიფოებრივი ზრუნვის გარეშე ვერ

გადარჩება და უპატრონოდ დარჩენილ ადგილებს გადამოივლები დაეპატრონებიან.

ამ სვედიანი ტონის შემდეგ, პოეტური მუხით შეპყრობილი მიხეილ ჭინჭარაული „გალექსებაზე“ გადავიდა, რამაც კარგ ხასიათზე დაგვაყენა მე და ჩემი ვაჟიშვილი – ლამა-გიორგი კრავიშვილი და მისიშვილი ევა ჯაჭვაძე. აი, ის კავიაც, რომელიც შატილის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის – ნოდარ ჯალაბაურისადრია გამოთქმული:

გამგებელი მყავს შოფერი
ქვეყანას ვაზანზარება,
არ ეზარება ობოლის
შტამპის და ბეჭდის ტარება.
მოხევეების დისწულსა
საქმეში სწყალობს „სამება“.
კვეხნაშიც არის ძლიერი
მყინვარწვერს შეედარება,
ნისლივით მალა აიწვეს
ზემოდან დაეფარება,
უკან არასდროს დაიწვეს,
თავჩაღმ არ ჩაუფარება.

მამა შინჭარაული – არქიტექტორი, შატილის არქიტექტორული კომპლექსის რესტავრატორი

– შატილის კომპლექსი შუა საუკუნეებში არის აშენებული, როგორც ადმინისტრაციული ერთეული. საქართველოს სათავადოებში არ შედიოდა ხევსურეთი და თუშეთი, საქართველოს საეკლესიო ეპარქიებს არ ექვემდებარებოდა ეს ორი კუთხე.

შატილი იყო საბრძოლო კომპლექსი, სამეურნეო ნაწილები გარეთ იყო გატანილი და აქაურებისთვის აცეხი საზამთრო სამყოფელი იყო. ზამთარს იქ ცხოვრობდნენ, ზაფხულში კი, როცა მტრის თავდასხმის საშიშროება შეიქმნებოდა, ნაგებობების კომპლექსში აფარებდნენ თავს.

აქ მხოლოდ ჭინჭარაულების, გვარი სახლობდა, რომლებიც ცხრა შტოდ იყოფოდა. შატილის კომპლექსში განთავსებულია როგორც საბრძოლო ყოფითი, ისე საკულტო დანიშნულების ობიექტები. მისი კომპლექსის თითო ციხე-სახლში, თითო ოჯახი ცხოვრობდა. აქედან გამომდინარე, მთლიანად კომპლექსში სამოცამდე ოჯახი ბინადრობდა. რაც ისტორიამ მის შესახებ ცნობები შემოგვინახა, ყველაზე დიდი ნგრევა 1813 წელს მომხდარა, რომელიც ე. წ. ალექსანდრე ბატონიშვილის აჯანყებას სახელით არის ცნობილი. მამის რუსეთის ზარბაზნებით შეიარაღებულმა არმიამ დიდი ზიანი მიყენა შატილის კომპლექსს.

მეორე დიდი ნგრევა მოჰყვა მეოცე საუკუნის 50-იან წლებში კომუნისტური რეჟიმის დროს ჩატარებულ რეპრესიებს. ხალხის მასიური გადასახლება მიმდინარეობდა ორმოცი წლის განმავლობაში და უპატრონოდ დარჩენილ მთელს კულტურულ და სულიერ გარემოს ანადგურებდა.

კომპლექსის რესტავრაციის პირველი ეტაპი გასული საუკუნის 70-80-იან წლებში განხორციელდა. მეორე ეტაპი კი მსოფლიო ბანკის დახმარებით 1999-2003 წლების მონაკვეთში. ამის შედეგად კომპლექსის ძირითადი ნაწილის კედლები გამაგრდა და გადაიხურა, მოხდა ადაპტირება. თანამედროვე მთხოვნებების შესაბამისად რამდენიმე მოსახლის საცხოვრებლად მათი ციხე-სახლის აღდგენა მოხერხდა. შატილის ისტორიული კომპლექსი, წისქვილებისა და სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობების გარდა 64 ობიექტს მოიცავს.

რედაქციის მიწაფარი:

აღდგენითი პროცესი შატილში სატენდერო პირობებში მიმდინარეობდა. ერთ-ერთი კომპლექსის რესტავრატორთაგანი გახლავთ ადგილობრივი მკვიდრი, არქიტექტორი და სახელოვანი ხევსური ვაჟა ჭინჭარაული. როგორც მან გვითხრა კომპლექსის ესაჭიროება გამუდმებული ყურადღება და პირვანდელი სახე რომ დაიბრუნოს, კვლავ ბევრი სამუშაოებია ჩასატარებელი.

ესაუბრა
იზა ჯაჭვაძე



ხვითისო გურღუეში – ჩვენ მიწის საჭრელი წერაქვები ვართ. როცა ვინმეს ვკვირდებით, მამინდა ვაგონდებით, მაგალითად, არჩვენების პერიოდში, ანდა სხვა დროს.

მიღმახევის დაცლა დაწყებულია, თუ ასე გაგრძელდა, სამ წელში აქ აღარავინ დარჩება. ცხოვრება გაუსადილსია. როცა ჰუმანიტარული დახმარება შემოდის შატილში, მიღმახევის მოსახლეობაზე არავინ ფიქრობს. მუცო, ხონისჭალა, არდოტი, ანდაქი, არჭილო, ხახაბო, სრულიად უპატრონოდ არის მიტოვებული და ყოველგვარი ყურადღების გარეშე დარჩენილი. გულდასაწყვეტია, რომ ხონისჭალიდან უკვე სამი ოჯახი გადაბარვდა, ორი არდოტიდან, ორი ანდაქიდან. ერთი ოჯახი იყო არჭილოში და ისიც წავიდა. დღესდღეობით ანდაქში ერთი ოჯახი იყავა. ერთ-ორ წელიწადში ისიც წასვლას აპირებს.

არდოტიდან მალე სამი ოჯახი გადასახლდება: შოი ზვიადაურის, წიქა ზვიადაურის და უშანგ არდოტელისა.

მუცოდან რაფდენ დაიაურის ოჯახმა დატოვა სამოსახლო. იაგო დაიაურიც მიდის. ხონისჭალიდან ზეთისუკა შეთეკაური და მეონი აქაც აღარავინ რჩება.

შარშან ხონისჭალაში ალექსი შეთეკაურის ოცდაათი წლის ცოლშვილიანმა ვაჟმა თავი მოიკლა. როგორც ხევსურები ხსნიან, სასაზღვრო საგუშაგო ანატორთან მდებარეობს (სალოცავთან). ეს ადგილი ძლიერია, სალოცავს ეკუთვნის, იმდენად დიდია აღნიშნული ხატ-სალოცავის ძალა, რომ ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე და გენადის თვითმკვლელობას ამას უკავშირებენ.

ირაკლი ჭინჭარაულის სიკვდილის მიზეზად ანატორის სალოცავს ასახელებენ. ხევსურეთის ხევისბერებიც ამას ამბობენ. მათ არასწორად მიანიათ საგუშაგოს არსებობა ანატორზე, სადაც დღეს სასაზღვრო საგუშაგოებია.

მისნილ შინჭარაული: – მას „შატილის საექიმო ამბულატორიის დირექტორი.

– გვესაჭიროება. ამბულატორიის შენობა. ისევ საკუთარ ბინაში ვიღებ ავადმყოფებს. აქვე ვინახავ მედიკამენტებს. თუმცა არ არის მისი






ბატონო რეზო, აფსუს, რომ კრიტიკოსი არა ვარ და ჩემი შეფასების ლოგიკური და-დასტურება არ მეხერხება. რამდენიმე ნაწარმოებია ქეჩოში რომ მითრევს და თავს მაკითხვინებს, მათ შორისაა „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“.

შემძვრელია... ასეთი წიგნებით კაცობრიობა უკეთესი ხდება. მე არაფერი მიკვირს, ჩეხოვიც, წაკითხული მაქვს თავის დროზე, მერიმეც, ცვაივიც, ჰამსუნეც და ეს წიგნი შედეგების თაიგულია, ასეთი ღრმა, გულისმიერი ცოდნა, თვალისათვის დაფარული, უფაქიზესი შრეები, ამხელა სიკეთე ქვეტექსტები. სამივე დროში ერთ-დროულად ყოფნა.

ასოს ზოგიერთმა. არც ერთს არ უყვარს შენზე მეტად ისტორიული ფაქტების ერთგულება, არც შენზე უკეთ იცნობენ ქართული გენის ამინდს, ქართველი კაცის შინაგან მეურნეობას.



„ჩყჩყჩყჩის გაქაჩვეყყრი კაცის“ გამო

ეს რაღაც ახალია, სასიამოვნოდ ახალი, რაღაც პროცესის დაგვირგვინება-თავმოყვარა. ამხელა „აპარატურაში“ ერთხელ არ მომხერხებია. სულ გინდა იკითხო, გაგარქედეს.

ჩემთვის საოცრებაა ამდენი შუქი, ამდენი თვალმარგალიტი, ამხელა სიყვარული და სევდა პირადისტორიული. ქართული ბგერა-მარცვლის, სიტყვაწყობის ჩუჩჩუ-წყჩილი, ელეთ-მელეთი, ქართული სიტყვის პატიოსნება! იშვიათია სახეთა ასეთი გალერეა, კალმის წვალების გარეშე ჩამოქნილ-ჩამოგვირისტებული. გულისშემძვრელია მამაშვილ სხივრტაძეების ისტორია (ტიტანური შრომა გაწეული).

მისაც, მაგრამ ამით რამ ვუქცერი, ამ საყოველთაო დაცემას და ლობასს, ზოგჯერ ყველაფერი სიზმარი მგონია, აღამიანი ვარ მე და სულ ფრთავალი ვერ ვიქნები, ან კი მჭირდება ფრთები შემოსაზღვრულ სივრცე-საპატიმროში?!

ჩინოს ვანმრთელად, ძალიან უნდა, მაგრამ, ვაი, რომ ავად არის და მიზეზი მის სულშია, მის გონშია. ქართველმა უნდა აიღოს გეზი „მინისაკენ“ – საკუთარი თავისაკენ!

ბრბოდან გამორჩეული პიროვნების (თუნდაც „გულა კირათის“ მიმართ). მაშასადამე, ეს წიგნი არის ყველა დროის, ყველა თაობის წიგნი, მართალი წიგნი, სამაგიდო წიგნი. არ მომხერხდება „მწუხრის“ კითხვა.

დოსჯა დაზანთან. ღმერთო დიდებულო, წინა ძალი და ბრძენება შენია, შენ გააჩინე და აკურთხე ცანი და ქვეყანანი. დიდება შენდა, დიდო ლაშარის ჯვარო, დიდება შენდა, კვირაო კარავიანო, ღვთის და მეუფის კარზედ მდგომლო, სიმართლის და წყალობის გამომბანელი ხმელზე ხორციელთათვის.

გიგლა ჭინჭარაული



ღმერთმა დალოცას ქურანი,
 მთა უცებ გადმომიტორა:
 გომბორის მთებზე ცა გატყდა,
 მთათ ხედვანამ გადაამიყოლა,
 ხანძრთან კაგაკისონზე
 ღამაში არა იყო რა.
 კახეთს კი იწვა სიბნელე,
 როგორც კამეჩი ნიკორა.
 თურდოზე ნისლი ამოძვრა,
 სივრდილე ამოიყოლა,
 ცივს კლდეებთან მიცოცდა;
 ხეგ-ყურის იცის მიყოლა
 საქართველოზე ღამაში
 არცარა წინათ იყო რა.

არწივის ბუდეში ვზივარ,
 არ ვახამხამებ თვალებსა,
 შორეთს გაგცქერი გულჯავრით,
 თან ვეფერები მთა-ველსა,
 ველარას ვშველი, ჭანგებით
 აჭრიან თითო მტკაველსა,
 სამშობლო-ჩემი გულ-ღვიძლი,
 მიერთგვს, მოინმარესა,
 გამინანავს ყოველი,
 ფერი უცვალეს არესა,
 საქმეს ვერ შველის კალამი,
 ხმალი თუ არვის გალესა,
 თურმე ცხოვრება მოითხოვს
 ზოგჯერ ბართლომეს ღამესა!...

მოულოდნელი კივილი

ძაღლსთან ცუნცუნებს


პატარა ლეკვი,
 რა ბენიერი ხარ ახლა, ძაღლო,
 შენ ცხოველი ხარ — კაცი ვარ
 მე კი

და მე შენს ბედთან
 ვერც მოგალ ახლო!..
 ყელში ამომდის
 ეს ზღვისპირეთი,

საქართველოს პერიფერიული კუთხეები და განსაკუთრებით მთის რეგიონებში მცხოვრებნი პოეტური აზროვნებით, განუმეორებელი მეტყველებითა და განსაკუთრებული ხიბლით გამოირჩევიან. ბუნების წიაღში ყოველდღიური ყოფნა შემოქმედთა უშუალოდ ხარისხს ამაღლებს და გაუხუნარ ხიბლს სძენს მათ შემოქმედებას.

ხატოვნებით და სიბრძნით გაჯერებული მათი ლექსები, კაფიები, ჩანახატები და მოთხრობები ხომ ცის მაცოცხლებელი ნამივით ეფრქვევა ჩვენს სულიერებას.

ერთი ასეთი ღვთისნიერი, შემოქმედებითი ნიჭითა და ვაჟკაცობით გამორჩეული გომბორის სოფლის გამგეობაში შემავალი პაწაწინა სოფელ ვმრონის მკვიდრი გიგლა ჭინჭარაულია, რომელიც სალი კლდეების სიმტკიცით და ლურჯი იების სინაზით შეპყრობილი, ყოველდღიურ მძიმე შრომაში ჩაფლული ათენ-ალამებს და მამულს საკუთარი ლექსების ათასი ფერადოვნების კორიანტელს უგზავნის.



არც ფული, აღარც მგზავრის ბილეთი,
 მომიყვამთ!
 ვინმეს ბავშვი ჩავიკრა!
 ვინ ხართ!
 ხალხი ხართ
 თუ სავიჟეთი?!

ეხპანეთი
15. XI. 2008 წ.

ძილს აკრთობს ახლოს არ უშვებს
 შავ ფიქრი შავი ღამისა,
 უნუშრად, უაღავერდოდ
 ყანწით სმა მწარე ნაღვლისა...
 სხვათ ბურ-ტაბლისად გახედვანა
 შენი მშვენი ბაღლისა,
 ჩამომერთმია უფლება
 ცუდად ყოფნის და დაღლისა...
 ახალ დღეს უნდა ვებრძოლო,
 რაღას დავაკლებ ჩაგლილსა,
 ალბათ, ასეა სურვილი
 ზეციერისა მადლისა,
 ამისიც მადლობელი ვარ,
 ცოცხლად ყოფნა რომ მადირსა!

მადრიდი.
31. V. 2008წ.

თქვენც აპყვავდებით უჩემოდ,
 გომბორის მთათა კალთანო,
 მალე დადგება ის წუთი,
 რომ შევსვა მეც „საკართანო“,

რომ ჩემი წილი სიცოცხლე,
 წვალებით ჩამოვათავო,
 ისევ მე მჩაგრე, სხვა — არა,
 ცხოვრების მკაცრო ზამთარო!

2003.

მთებში, მთებში და მე

ისევ მტკივნეულ ხასიათზე ვარ,
 ახლა ღამეა — ლექსის აკვანი,
 და კაცი ისე უაზროდ ვწევარ,
 როგორც ციხიდან გამოსაყვანი.
 არაფერს მაძლევეს ლექსების წერა,
 არც ეს თთახი — თეთრი საკანი,
 სადღაც დაგვარე მე ბედისწერა,
 ახლა სხვა ხორცი მაქვს და სხვა საკანი
 აგერ იქ, მთვარეც ამოიწვინა,
 ნეტავ თუ ნახა ჩემი სახლ-კარი?
 თუ ჩვენი მთების გიხილა წვერმა,
 მაშინ ეგ შუქი დე მეც დამკარი,
 რომ ამ სამების მესამე წვერმა
 ვფრძნო სამშობლო გულის კანკალით.

ჩემი სამშობლოს სვე-ბედი
 ეკიდა ჩემსავ მკლავზედა,
 თუ მასზე დარდი გათავდა,
 ნუმც მიცოცხლია წამზედა!

მადრიდი
2008 წ.

გაბრიელ ჯაბუშანურს

სალის კლდეების სიმტკიცე
 სინაზე ლურჯთა იათა,
 მკერდით დაგქონდა, გაბრიელ,
 წაძალი ადამიანთა.
 ო, როგორ მეახლობლები,
 მეცა მკლავს შენი სიათა,
 ველარც რას ცოცხალთა ვშველი,
 ველარც ვახარებ ჭიათა.

23. 04. 2003.

სოფ. ვერონა.

გვიშველეთ, მამულიშვილნო,
 დრონი დგან დასაგომონია,
 სად გაგონილა მშვიდობა,
 მთელი სიცოცხლე თმია!..
 უქმად ნახარჯი სიცოცხლე
 არდაბადების ტოლია,
 ზოგი ერთხელაც ვერ ცხოვრობს,
 ზოგის ცხოვრება ორია,
 სიცოცხლე სამუდამოდ კი
 ყველაზე უფრო სწორია.

მე გულისწორად შეგრაცხე,
 შენ კი მათხოვრად ჩამთვალე,
 მე დღედაღამე ვუკვანდო
 მოწმენდილ ღამეს — მაგ თვალებს.
 შენზე ტკივილით გუნძლავდი
 სტრიქონებს — ოქროს თაგთაგებს,
 გულს მცემდი, როგორც ცელის პირს,
 მხარჯე და ვერ გამათავო,
 წუხილის წარღვნა მიმლეკავს,
 შენა ხარ მისი სათაგე...
 ნეტავი, ამ ჩემს ცხოვრებას
 სულ სხვები რატომ მართავენ?

მე ღვთაებრივად მიყვარდი,
 ვით წამეყვანე ცოლადა?
 ოცნებით მზისკენ მიმყავდი,
 ვერ გცანი გამომყოლადა.
 ფიქრიც მზარავდა იმაზე —
 სიწმინდე შემომქელახა,
 ეგ კდემა და ეგ სინაზე
 მხეცურ ალერსში მენახა.
 სხვა დატკებს შენი წყალობით,
 ვინც სათუთობის მტერია;
 სხვა გაძლეს შენი ქალობით
 მე გითცნებებ ფერიად...
 მე ზეციურად გსახავდი,
 გფიქრობდი ცათა სწორადა,
 ცას როგორ შემოვლახავდი,
 ვით წამეყვანე ცოლადა?!

„ქარისა და წვიმის ქვეყანა“



ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კავკასიოლოგი და პოეტი – ნოდარ არლოტელი...

ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქ ლონდონში. სწორედ ამ დღეთა გამოძახილი აირეკლა პოეტის სულმა...

სინანული წარმავლობისა

ვიდაცა რჩება, ვიდაცა მიდის, გულსუწადინოდ ვიდაც ბერდება. ჩემს მკერდს, შეჭვარტლულს დრო-ჟამის ბინდი...


უფიოზა

არა უშავსო! — მოგვიოდნენ ქვეყნის ზარები და სამშობლოდან გადახვეწილს ნუგეშსა გცემდნენ.

დაწყვილებულა ირგვლივითი და უფრო მეტიც — უმზინე: მტრედმა სატრფო მტრედთან შეიფრთხილა.

„საქართველო და ქართველი პოეტები“

საქართველო ყველა ჭეშმარიტ ქართველს უყვარს და რა თქმა უნდა არც მე ვარ გამონაკლისი. ის კი არა და ხანდახან მგონია, რომ ყველაზე მეტად მე მიყვარს.



მთარ ზარიძე.

მინდია არაბული

ბავაზუსული ჩარბალთან იქ, სადაც არაგვს ჩარგულულა ერთვის, შეგელი ბღაგის და ექაძის დობილს...

მთარ ზარიძე

ჩამაგაღლა მზემ ზღვის ტალღებში თავი დაიხრჩო, საღამომ ბნელი ბაღდაძისნი...

მტერი მარჯვენას რომ მისერავდა, ჩემსაგ მარცხენას ეპურა ეს მაჯა!

ჩაყვანა

თვალს მიცემს ჩემი საყვანხეთი, აგრემც მოგუკვდე ვეღარ დაგხედე. კაი ხანია ჩემი კახეთი...

გზლო კობიაშვილი

საქართველო მე გადამისხნეს ცისფერი ძარღვი და ჩემი სისხლი შესვგეს სიამით...

პელეს, პიკასოს, ტალს თუ კარუსოს, მაგრამ ეს გული შარაზე დაგდე. გაგზადე ქვეყნის სატარტაროზოდ.

საქართველოს მშენებავ და მარსკვირავო!

მთასა თუ ბარში საცაა შემოაბიჯებს თიონა ქუმსიაშვილისა და მისი პაწაწინა ვაჟიშვილების, ორი წლის დამბ-ტრამს და 9 თვის ჯარჯის, თიონას დის - ნათია ქუმსიაშვილის, შვილთან - მამუ-პასტიან ერთად ბმრლია და სოფიკო არაბაშვილისატივის დაწვევით 2010 წლის 22 ივლისი ათენგენობის უძველესი დღესასწაულის მეორე დღე, როცა მუცოს ხეობაში საზარელი სიკვდილი მოვედინათ ამ მშენებერ მთიელებს მუცოსთან ახლოს, სოფელ ხონეში სწრაფად მომავალი „ჯიბი“ ხრამის პირზე მოცურდა, მდინარე არღუნში გადავარდა და შეიღი ადამიანი იმსხვერპლა.

მთელი საქართველო შეძრა ამ ტრაგედიამ. იმ დროს შატლიში გახლდით. მზია წიკლაურის ოჯახში დავიდეთ ბინა და შემდეგ მეგობართან, პოეტთან და სახელოვან სახელების დამცველთან - მურვლა არდოტელთან მივემ-ზავრებოდით, თუმცა ამ უბედურების შემდეგ იქით რაღა წავივინდებოდა.

ჩვენს თვალწინ, იქ სადაც მთები ზღაპრულ ფალავნებს ჰგვანან, დატრიალდა ყველაფერი... დაღუპულები შატლიში, პანსიონის შე-ნობაში შემოსვენეს, სადაც მოედინებოდა ხალხის ნაკადი. ასე ჩაგვმხამდა მთაში ყოფნის სიხარული.

თიონა ქუმსიაშვილი თიანეთის რაიონის სოფელ სიონიდან გახლდათ. იქვე, სოფელ ორხეში დაიბადა დიდი ქართველი მომღერალი,

საოპერო ხელოვნების ბრწყინვალე წარმო-მადგენელი ნიკო ქუმსიაშვილი და მისი ქალ-იშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბატონ ევანტე ფიფიას მოწაფე - როდამ ქუმსიაშვილი. როგორც თავად თიონა ქუმსიაშვილმა მითხრა, ამ გვარის მეოთხე თაობის წარმომადგენელი იყო. ქუმსიაშვილების საგვარეულოში სიმღერა იყო მათი სულის შემადგენელი ნაწილი.

წელიწადი ხდება შენთან სევდიანი გან-შორებისა ჩემო პირმშენებერ და ბუღბუღის ხმიანო თიონა, აბოოქრებულმა და დაუნდო-ბელობა მღვრიე არღუნმა შეიღებთან ერთად თან გაიყოლა შენი ლამაზი სიცოცხლე, ამასთან განუმეორებელი ხმა-სიმღერისა, გულში ჩამ-წვლომი და მარად დაუვიწყარი, რომელსაც თან სდევდა რაღაცნაირი სევდა და უკიდვარი ტრავიზმი.

ის ცრემლიანი და გულისტკივილის-მომგვრელი დღეები არასდროს დამავიწყდება. შატლის პანსიონის შენობაში გადმოსვენებისას, შენს სველ სამოსს პირისახიდან გადმოსული სისხლის ნაკვალავი რომ აჩნდა, ერთი მკლავი მოხრილი გქონდა, ალბათ შეიღებს აკავებდი, ვიდრე შეგეძლო, დემეტრე კი არღუნმა შთანთქა.

დღესაც მოგტირის მთელი საქართველო, დარდისგან დაუძლურებული დედა ფშავლის ასულს და ხევსურეთის მარადიულ დედოფა-ლო, მშენებერი პოეტის და მომღერლის ბმკლად დანიშნის რჩეულო, დღემუდამ ზრუნავს



შენი სახელის კიდევ უფრო განდიდებისა და გაბრწყინებისათვის.

აი, ახლაც, 25 ივნისს „მზიურში“ რომელ-საც ზღვა ხალხი ესწრებოდა, გაგიმართა შენი სახელობის ხევსურული სიმღერისა და პოეზიის საღამო...

მშობლიური თიანეთი და მშენებერი თი-

ანელები, ფშავი, ხევსურეთი და სრულიად საქართველო სულ შენი სიმღერებით ხალ-ისობს, საქართველოს მშენებავ და ვარსკე-ლავო - თიონა ქუმსიაშვილო...

იზა ჯაჭვამძე.

«ფშავილები მერ კლიბენ ულიქსოდ, ლიქსიების ფშავილებს ნაბრობენ...»



თინიკო ნაყურისი

ახლახანს თბილისში, პროფკავშირე-ბის კულტურის სასახლეში, თბილისისათვის სრულიად უჩვეულო, არაჩვეულებრივი საღამო გაიმართა. ეს იყო ფშავური ფოლკლორის პირ-ველი საღამო, რომელიც სულმნათ ვაჟა ფშავე-ლას 150 წლის იუბილეს მიძღვნა.

საღამო, როგორც შინარსობრივად, ისე სანახაობრივად, საკმაოდ ემოციური და გან-სხვავებული იყო. ეს იყო ფშავური ლექსის, ფშავური სიმღერის, ფშავური ცეკვისა და ფშავური სიტყვის ზეიმი.

საღამო ფშავის აღორძინება-განვითარების ფონდის მიერ იყო ორგანიზებული, რაშიც უდიდესი წვლილი პოეტ მარიამ (სანათა) ხუ-ცურაულმა და ფშავური პოეზიის დიდმა ქომავმა და მკვლევარმა ვანო ბერიძემა შეიტანეს.

სცენაზე ერთმანეთს სცვლიდნენ მელექსე ფშაველები - ელგუჯა უძილაური, გონა ჩეკურიშვილი, მიმა ლანიშვილი, ცოტნე ალ-ბუთაშვილი, გაბრიელ გარაშვილი და ვინ ალარ. ბიძინა მჭედლურმა და მზია მუსაშვილმა ლუკა მთიებელაშვილისა და სერაპიონ რუსულაშვილის ლექსები წაიკითხეს.

არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს მალაროსკარის სკოლის დირექტორის მზისო თურმანაულის მონაწილეობა და მის პარალე-ლურად დები ნაყურების სიმღერები, თიანეთის ხალხური ცეკვის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის გამოსვლა, რომელთაც ფშაველ ქალთა შთაბეჭდავი ცეკვა შეასრულეს.

ფშავური ფოლკლორის თავისებურებებზე ისაუბრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბი-ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკ-ლორის კათედრის პროფესორმა ტრისტან მასურამ.

სცენაზე ცოცხალი კაფია შესრულდა გონა ჩეკურიშვილისა და გაბრიელ გარაშვი-ლის ქალიშვილ - ცისანა გარაშვილს შორის, რომელთაც თითქმის მთელი დარბაზი ოვაციით შეხვდა.

ძალზე საინტერესო აღმოჩნდა ცოტნე ალბუთაშვილის და მეზობელი - ებოტელი და ალოტელი მეგობრების კაფიები, რომლებიც ჩვეული ფშავური ოუპორით ერთურთს ტაბლად ალექსებდნენ, თან როგორც ფშაველებს სწვევათ თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებზე დიდი ოუპორით ამახვილებდ-ნენ ყურადღებას.

საღამო დალოცა ფშავ-ხევსურეთისა და თიანეთის მიტროპოლიტმა მეუფე თადეოზმა.

საღამოს მონაწილეებს სიურპრიზი მოუწყო მალაროსკარში დაბადებულმა და სახელოვანი მასწავლებლისა და პოეტის მიხეილ ნაყურის ქალიშვილმა ქსოვა-ქარგვის დიდოსტატმა თინიკო ნაყურამ, რომელმაც სწორუპოვარი სხვადასხვა სახეობის ფშავური ნიმუშები გვიჩვენა. პროფკავშირების კულტურის სასახ-ლის ფოიეში აგრეთვე ფშავური გამოვინა და სხვათა ხელნაკეთი ნივთები. ასევე იქაური სამოსი და სულ ახლახანს ე. ბერიძეაშვილისა და თამილა გოგოლაურის მიერ გამოცემული „ფშავური პოეზია“ იყო გამოტანილი.

როგორც საღამოს წამყვანმა პოეტმა მარიამ ხუცურაულმა საკმაოდ ხატოვნად შენიშნა, ფშავში ლექსი იმდენად ძლიერია, ისეა თითოეულ ფშაველში პოეზია ჩასახლებული, რომ „ფშავურმა პოეზიამ ფშავური ცეკვა და სიმღერა შეჭამა“ და ამდენად საღამოზე ძირი-თადი აქცენტები სწორედ პოეზიაზე გამახვილდა.

ჩვენთვის სიურპრიზი იყო აგრეთვე პოეტ ელგუჯა უძილაურის ლექსის „აყვავებული არაგვზე დეკა“, „შატლის ცასავით ლურჯი გაქვს თვალები“ სიმღერის ავტორის სოსო პატარაშვილის გამოჩენა და ამ სიმღერის ავ-ტორისეული შესრულება, რასაც დარბაზიდან მხურვალე ოვაციები მოჰყვა.

სიტყვით გამოვიდა ვაჟა-ფშაველას პოეზი-ის თავიანთსმცემელი, ლორდი სტივენ-კახაბერ ლლოიდი-ბაგრატიონი, რომელმაც ფშავე-ლებს ნათესავები უწოდა და როგორც ამას ვაჟა-ფშაველას სახელ-მუხეუმის დირექტორმა

ლელა რაზაკაშვილმა თქვა, იყო ნათესავი ვაჟა-ფშაველას მხრიდან.


არ შეიძლება არ აღინიშნოს დუშეთის, თი-ანეთის, ახმეტის, თელავის გამგებლების, ასევე ლაფანურის მუნიციპალიტეტის რწმუნებულის მხარდაჭერა საღამოს ორგანიზებაში. როგორც მოწვეული სტუმრები აღნიშნავენ, ასეთი მნიშ-ვნელოვანი ღონისძიებები, ქართული სულისა და ქართული ფესვების შენარჩუნება-გადარჩენის გზაზე დანთებული ის სანთელია, რომელსაც ჩაქრობა არასოდეს არ უწერია.

საღამოს მხარდამჭერი იყო საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება, რომლის ორგანიზებითაც შესაძლებელი გახდა აღნიშ-ნული ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარება.

„ფშაველები ვერ ძლებენ ულექსოდ, ლექსებიც ფშაველებს ნატრობენ, მეც ვეღარ გაგებელი ულექსოდ და გული ფშავურად გამძვრე“.

ამის სათქმელად მოდიოდა ყველა ფშაველი მომღერალი თუ მოლექსე და ფშავური პოეზიით, გამთბარი გულებით, გაღალებულთ აცილებდა საღამოზე მოსულ სტუმრებს.

მთიმე მათიშვილი, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე.



თინიკო ნაყურისი გამოსვლიდან

ფილმსახე დაბადების დღეს ვულოცავთ: კობა ბაქოიძეს, რეზო ფაჩულიას, რეზო კობიაშვილს, მარინე თემთუშანიძეს, ლალი კანდელაკს, ნანა სომასურიძეს, დოდო ბიჩქელაშვილ-იჭირაშულს, მამიდა-მისიშვილებს: რენო, მკა და მარი ჯაჭვამძეს

ქართველი მწერლები: რევაზ მიშველაძე, მაცვალა გონაშვილი, ბალათერ არაბული, მანანა ჩიტიშვილი, ტარიელ ხარხელაური, ზეზუა მედელაშვილი, კობა არაბული, დათო ტაკიძე, ზაალ ბოტკოველი, ზურაბ თორია, გუგული ტოგონიძე, გულო კობიაშვილი, იზა ჯაჭვამძე, მზია ხეთაგური, რამაზ ბერაძე, მარინე თემთუშანიძე, ერეკლე სალდიანი, შერმადინ ქალდანი, ქეთევან დოლიძე, ეთერ ზარიძე, მეგობარი - მაცვალა ლიპარტელიანი, დიდი მწუხარებით იუწყებთან, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო პოეტის, ირმა მებურიშვილის ვაჟიშვილი ლაშა ჩაჩავა და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დამფუძნებელი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორი იზა ჯაჭვამძე რედაქტორი ლაშა-გიორგი პრაპიშვილი რედაქტორის მოადგილე დინა ბიბიაძე სამრეწველო საბჭო: ივანე წიკლაური, რეზო კობიაშვილი, ლევან ცალკულაშვილი, გიორგი ირუაძე, ნუგზარ ილოძე, ნატა ბორჩაშვილი, ლეილა არჩიშვილი, ომარ მარუაშვილი, ქეთევან მჭედლური, გულო კობიაშვილი, გონა ხარახაული. ბაჰაიტი არ ბაზოხაძეს არც ერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესს, ავტორები თავად ამაზე არაა, მასალაში უმთავრესი მუხარამის სისწრაფე, ავტორთა მოსაზრებები უმთავრესად არაა მათთვის, რომლებსაც ბაჰაიტი მასალის ბაზაზე მუშაობს. მისთვის მუშაობს მთელი საქართველო. www.bedoidze.site.ge